

სსიპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების

სახელმწიფო სასწავლებლის 22 წლის გაწეული

მუშაობის ანგარიში

/ მნიშვნელოვანი ღონისძიებები /

## 2004 წლის სექტემბერი – 2025 წლის დეკემბერი

### ზოგადი ინფორმაცია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი (შემდგომში - სასწავლებელი) წარმოადგენს, „ზოგადი განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად შექმნილ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს სრულ საშუალო საბალეტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე.

სასწავლებელი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობის, წესდების და შინაგანაწესის საფუძველზე.

სასწავლებელი ახორციელებს ხუთ წლიან საბაზო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა საბაზო სახელოვნებო განათლების მოწმობა და სამ წლიან პროფილურ სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამას (ბალეტის მსახიობის განხრით და თანამედროვე და სახასიათო ცეკვების განხრით), რომლის დასრულებისასაც გაიცემა შესაბამისი მოწმობები (სერტიფიკატი).

სასწავლებლის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0105 ქ. თბილისი, ვ. ვეკუას ქუჩა №1, ტელ. 299 06 65, 298 60 41

ელ.ფოსტა : [ballet\\_zuka@yahoo.com](mailto:ballet_zuka@yahoo.com)

ვებ-გვერდი : [www.stateballetschool.ge](http://www.stateballetschool.ge)

ინსტაგრამი : Chabukianiballetschool

ტიკტოკი: @\_Chabukianiballet

## სასწავლებლის შესახებ

1916 წელს იტალიელმა მოცეკვავემ მარია პერინიმ საქართველოში პირველი კერძო საბალეტო სტუდია გახსნა, რომელიც 1920 წლიდან ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელმწიფო საბალეტო სკოლად გადაკეთდა (დირექტორი და წამყვანი პედაგოგი 1920 წლიდან მ. პერინი იყო). პერინიმ უფროსი და საშუალო თაობის მთელი პლეადა აღზარდა, მათ შორის: ვახტანგ და თამარ ჭაბუკიანები, ნინო რამიშვილი, ვახტანგ ვრონსკი, ელენე გვარამაძე, მარია ბაუერი, ირინა და დიმიტრი ალექსიძეები, ილიკო სუხიშვილი, სერგეი სერგეევი, ნიკოლოზ არბატოვი, სიმონ ვირსალაძე, ელენე ჩიკვაიძე, მარია კაზინეცი, სურენ გორსკი, ვივი მეტრეველი, ანა წერეთელი, ქეთევან ნადარეიშვილი და მრავალი სხვა.

1935 წელს ცნობილმა ქორეოგრაფმა და თეორეტიკოსმა დავით ჯავრიშვილმა მ. პერინის სკოლა ქორეოგრაფიულ სტუდიად გადააკეთა, რომელსაც 1951 წლიდან სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი ეწოდა. 1951-1977 წლებში სასწავლებელს სათავეში ჩაუდგა მსოფლიოში აღიარებული გენიალური მოცეკვავე და ქორეოგრაფი ვ. ჭაბუკიანი, რომელსაც სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ეროვნული ბალეტის ისტორიაში. თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მოსვლისთანავე ვახტანგ ჭაბუკიანმა უმნიშვნელოვანესი რეფორმები განახორციელა, რომელსაც მოჰყვა ქართველი მოცეკვავეების არაერთი თაობის და მსოფლიო ბალეტის ცნობილი სახეების აღზრდა, როგორებიც არიან: ნინო ანანიაშვილი, ნიკა ცისკარიძე, ირმა ნიორაძე, იგორ ზელინსკი, დათო და მია მახათელეები, ელენე გლურჯიძე, ლალი კანდელაკი, ვასილ ახმეტელი, ლაშა ხოზაშვილი და სხვები.

2004 წლიდან ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელს სათავეში ნინო ანანიაშვილი უდგას, ხოლო სასწავლებლის დირექტორია ზვიად ბაქრაძე.

## სასწავლო პროცესი

სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება წარმოებს მისაღები გამოცდების შედეგად. კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა მოსწავლეს, რომელმაც დაამთავრა ოთხი კლასი და შესაბამისად, გამოირჩევა იმ უნარ ჩვევებით, რომელიც აუცილებელია მომავალი ბალეტის მსახიობის ჩამოყალიბებისათვის.



სასწავლებელში სწავლების ხანგრძლიობა განისაზღვრება რვა აკადემიურ სასწავლო წელით და იყოფა ორ საფეხურად :

სასწავლებელი ახორციელებს ხუთ წლიან საბაზო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა საბაზო სახელოვნებო განათლების მოწმობა და სამ წლიან პროფილურ სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამას (ბალეტის მსახიობის განხრით და თანამედროვე და სახასიათო ცეკვების განხრით), რომლის დასრულებისას გაიცემა შესაბამისი მოწმობები (სერტიფიკატი).



ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი ერთადერთია საქართველოში, რომელიც ამზადებს ბალეტის პროფესიონალ მსახიობებს. სასწავლებელში კლასიკური ცეკვა წამყვანი დისციპლინაა. ყველა სპეციალური საგანი, რომელიც აქ ისწავლება, ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რაც პროფესიონალი ბალეტის მსახიობის მომზადებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი (პედაგოგები, კორდებალეტი, სოლისტები) ამ სასწავლებლის აღზრდილები არიან.



სასწავლებელში ისწავლება: კლასიკური ცეკვა, წყვილთა ცეკვა, ისტორიულ -ყოფითი ცეკვა, სახასიათო ცეკვა, თანამედროვე და ქართული ცეკვა, რითმიკა, გრიმი, მსახიობის ოსტატობა, სცენოგრაფია, ვოკალი, მეტყველება და სხვა ( იხილეთ გრაფიკი №3 ). მთელი წლის განმავლობაში სასწავლებლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ, ოპერისა და ბალეტის თეატრის სხვადასხვა სპექტაკლებში: "მაკნატუნა", "გედების ტბა", "დონ კისოტი", "უიზელი", "მოცარტიანა", "ამაო სიფროსილე", „გორდა“, „წუნა და წრუწუნა“, „ლაურენსია“, „ მძინარე მზეთუნახავი“, „ კონსერვატორია“, „ნატალი“, „ პინოქიო“ და სხვა.



სასწავლებელში სწავლების პროცესი მიმდინარეობს, როგორც უფასო სახელმწიფო დაფინანსებით, აგრეთვე ფასიანი სწავლების ფორმით.

სასწავლებელში 2006 წლიდან ფუნქციონირებს მოსამზადებელი განყოფილება 6-დან 9-წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. მისი მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი ბავშვები და მოამზადოს ისინი დაწყებითი კლასების პროგრამის ათვისებისთვის. ეს პროგრამა გათვალისწინებულია მოსამზადებელი ჯგუფებისთვის, სადაც:

**1 და 2 კლასში ისწავლება:**

- კლასიკური ცეკვა
- ქართული ცეკვა
- ისტორიულ-ყოფითი ცეკვა
- რითმიკა

**3 და 4 კლასში ისწავლება:**

- კლასიკური ცეკვა
- ქართული ცეკვა
- ისტორიულ-ყოფითი ცეკვა
- სუნთქვისა და გაწევის ვარჯიშები
- თანამედროვე ცეკვა
- მსახიობის ოსტატობა



მოსამზადებელი ჯგუფის დამთავრების შემდეგ მოსწავლის სურვილის შემთხვევაში ის აგრძელებს სწავლას სასწავლებელში მისაღები საკონკურსო (სამი ტური) სისტემის გავლის შედეგად. 9-10 წლის ასაკიდან იწყება 8 წლიანი საბალეტო ხელოვნების სასწავლო კურსი.

2016-2017 სასწავლო წლიდან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით სასწავლებელმა დაწერა სწავლების ახალი ფორმები ქართველი და უცხოელი სტუდენტი მოსწავლეებისათვის:

- ⌋ ერთი თვიდან წლამდე სწავლება;
- ⌋ ერთი წლიდან ხუთ წლამდე სწავლება;
- ⌋ სამოყვარულო სწავლების ჯგუფები;
- ⌋ თეატრალური სტუდია;
- ⌋ ექსტერნი სწავლება.

გარდა ამისა სასწავლებლის მოსწავლეს სასწავლებელთან არსებული №46 საჯარო სკოლის საშუალებით შეუძლია მიიღოს სრულყოფილი ზოგადი განათლება. ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ საქმიანობას ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასში და სხვადასხვა თეატრებში. მაღალი პროცენტით (80-90%) აბარებენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც ჰუმანიტარულ აგრეთვე ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და სხვა ფაკულტეტებზე. ჩვენი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში. გვყავს ეროვნული ოლიმპიადის გამარჯვებულები მოსწავლეები უცხო ენებში (ფრანგული, ინგლისური, რუსული).

### განხორციელებული რეფორმები

სასწავლებელმა სასწავლო პროცესის განვითარებისა და უკეთ წარმართვისათვის ბოლო 22 წლის მანძილზე განახორციელა შესაბამისი რეფორმები. პირველ ეტაპზე შესძლო აემღლებინა პედაგოგების კვალიფიკაცია და დისციპლინა, რის შედეგადაც გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, თუმცა 2020 წელს covid - 19 ვირუსიდან გამოწვეული მდგომარეობიდან გამომდინარე ბევრმა მოსწავლემ ძალაუწებურად დატოვა სასწავლებელი (სასწავლებელში, ამჟამად სწავლობს 250 მოსწავლე (იხილეთ გრაფიკი №1) და სწავლების ხარისხი, რაც კარგად გამოჩნდა, როგორც წლიდან - წელზე გადასაყვან გამოცდებზე, აგრეთვე სასწავლო წლის დამამთავრებელ - გამოსაშვებ კონცერტებზე. სასწავლებელს სწავლებისათვის გააჩნია სათანადო საგანმანათლებლო ლიტერატურა და უნიკალური არქივი - მუზეუმი. საბალეტო ხელოვნების სპეციფიკიდან გამომდინარე გარდა ლიტერატურული მასალისა, სასწავლებელმა შეიძინა მდიდარი სამუსიკო და ვიდეო მასალა, რაც ხელმისაწვდომს ხდის სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენებას და დანერგვას სასწავლო პროცესში.

2020 სასწავლო წლიდან სასწავლებელში ჩამოყალიბდა ახალი - თანამედროვე და სახასიათო ცეკვების განხრა. რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს თავი წარმოაჩინონ არა მარტო კლასიკური ცეკვის განხრით, არამედ თანამედროვე და სახასიათო მიმართულებითაც. ამავდროულად სასწავლებელში დაინერგა მსახიობის ოსტატობის გაკვეთილების შესწავლა დრამატული თეატრისთვის დამახასიათებელი ელემენტებით, რომელიც ფართოდ არის დანერგილი ევროპის ქვეყნებში.



სასწავლებელში 2006 წლიდან ფუნქციონირებს სპეციალური აღჭურვილობით მოწყობილი, სადემონსტრაციო ოთახი, სადაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ DVD ფორმატში ნახონ საბალეტო ხელოვნების შედეგები. აქვე აღვნიშნავთ რომ 2004 წლიდან სასწავლებელში განხორციელდა მართვის სისტემის საერთო კომპიუტერიზაცია. სასწავლებელში მოხერხდა ჩამოყალიბებულიყო სრულყოფილი ვიდეო სტუდია (სამონტაჟო სტუდიით და შესაბამისი ვიდეო-აპარატურით (იხილეთ გრაფიკი №4).

2004 წლიდან დღემდე სასწავლებელმა შეიძინა ათეულობით საცეკვაო კოსტუმები და სრულყოფილად განაახლა საცეკვაო კოსტუმების გარდერობი თავისი სამრეცხაოთი (იხილეთ გრაფიკი №5). სასწავლებელს აგრეთვე გააჩნია ავტობუსი და მსუმბუქი ავტომანქანები.

2007-2008 წლებში სასწავლებელმა ვეკუას №1 არსებულ ადმინისტრაციულ შენობაში მოაწყო ინტერნატი – საქართველოს რეგიონებიდან სასწავლებლად ჩამოსული მოსწავლეებისთვის, მაგრამ მისი გამოყენება ვერ მოხერხდა შესაბამისი დაფინანსების არქონის გამო, ხოლო ამჟამად ჩუბინაშვილის ქუჩაზე არსებული შენობის ავარიულობის გამო ინტერნატის ფართობზე მიმდინარეობს სწავლება. *2015 წელს ჩუბინაშვილის ქუჩა № 49 – ში არსებული შენობა მძიმე ავარიული მდგომარეობიდან გამომდინარე ჩაიბარა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ.*

### განხორციელებული ღონისძიებები

გ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი არის კერა, სადაც ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით იზრდებიან ღირსეული მოცეკვავეები, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ მსოფლიო საბალეტო ხელოვნების კორიფეებს შორის და უზრუნველყოფენ მსოფლიოში ქართული კულტურის პოპულარიზაციას. ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა, იტვირთა და თავის თავზე აიღო უდიდესი მისია, ქართული ბალეტის აღორძინებისა და მისი, მსოფლიო ასპარეზზე წარმოჩინებისა, რათა საქართველო დაადგეს იმ ქვეყნების გზას, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ამ უნატიფეს ხელოვნებას.



2004 წლიდან დღემდე სასწავლებელს განხორციელებული აქვს 628 - მდე (იხილეთ გრაფიკი №2) ღონისძიება (გამოსაშვები საღამოები, კონცერტები, სპექტაკლები, საქველმოქმედო საღამოები, საერთაშორისო კონკურსები, გაცვლითი პროგრამები, თეატრალური და შემეცნებითი საღამოები და სხვა) მოსწავლეები მონაწილეობენ სასწავლებლის სპექტაკლებში, რომლებიც დაიდგა სასწავლებელში: შოპენის “შოპენიანა”, მინკუსის “პახიტა”, ჩაიკოვსკის “გედების ტბა”, “მძინარე მძეთუნახავი”, პროკოფიევის “კონკია”, მენდელსონის “ზაფხულის ღამის სიზმარი”; მოროზოვის “ექიმი აიბოლიტი” კ.ხაჩატურიანის “ჩიპოლინო“, ლ. დელიბის „ კოპელია “ , „ ჩხიკვათა ქორწილი “და სხვა.



აგრეთვე სასწავლებლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სპექტაკლებში, რომლებიც იდგმება ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. 2004 წლიდან დღემდე სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის საზღვარგარეთიდან მოწვეული გამოჩენილი მოცეკვავეებისა და პედაგოგების მიერ ჩატარებულ იქნა მასტერ – კლასები : ნიკოლოზ ცისკარიძის, იუკიკო საკურაის, ირინა კოლპაკოვას, ვლად სემიონოვის, მარია კალეგარის, ევა კლობორგის, ანდრეი კუდელინის, დიმიტრი კორნეევის, ოლივიე პატეის, ტეგეტ კასკის, ტომ ბოსმანის, ალექსეი მიშუტინის, ვალენტინ ბარტესის, პედრო კარნიეროს და მრავალი სხვა გამოჩენილი მოღვაწის მონაწილეობით.



2011 წელს უკრაინის ქალაქ დონეცკში სასწავლებლის მოსწავლე ნუცა ჩეკურაშვილი დაჯილდოვდა სერჟ ლიფარის სახელობის მე-7 საერთაშორისო კონკურსის ლაურიატის მესამე პრემიით.



2011 წლის 11-27 ივლისს ჩვენს სასწავლებელსა და ესპანეთის ქალაქ ბურგოსის ცეკვის აკადემიას „ჰელად-ს“ შორის განხორციელდა გაცვლითი პროგრამა. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ერთობლივ სპექტაკლში.



2012 წელს ქალაქ რიგაში საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე სასწავლებლის აღსაზრდელებმა ნუცა ჩეკურაშვილმა და მამუკა კიკალიშვილმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. საუკეთესოთა შორის მათ დაიმსახურეს გრან პრი და ასახელეს სასწავლებელი, აგრეთვე 2012 წელს ქალაქ ჰელსინკიში გამართულ საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე ნუცა ჩეკურაშვილი და მამუკა კიკალიშვილი მოხვდნენ ფინალში და მორიგი წარმატებით დაბრუნდნენ სამშობლოში. ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მიღწევად, ის რომ სასწავლებელმა შესძლო სწავლების VIII წლის მოსწავლეთა გაგზავნა პეკინის მესამე მსოფლიო საბალეტო ფესტივალზე. სადაც მონაწილეებმა დაიმსახურეს საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა.



2013 წლის 22 – 28 აპრილს და 30 ივნისიდან - 7 ივლისამდე, ჩვენს სასწავლებელსა და პორტუგალიის ეროვნული კონსერვატორიის ცეკვის სკოლას შორის განხორციელდა მოსწავლეთა გაცვლითი პროექტი. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ჩვენი სასწავლებლის და პორტუგალიის ეროვნული კონსერვატორიის ცეკვის სკოლის გამოსაშვებ სპექტაკლებში.



გაცვლით პროექტში მონაწილეობის მიღება მნიშვნელოვანია სასწავლებლის მოსწავლეებისათვის საცეკვაო გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი საცეკვაო ნომრების მომზადებისა და მომავალში ერთობლივი სპექტაკლის განხორციელებისათვის.



აღსანიშნავია, რომ სასწავლებლის მოსწავლეები მონაწილეობას დებულობენ სპექტაკლებში, რომლებიც ტარდება საქართველოს რეგიონებში, სხვადასხვა სახის საქველმოქმედო კონცერტებსა და აქციებშიც. კერძოდ: სასწავლებელმა გამართა საქველმოქმედო კონცერტი სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრ „აისის“, № 180 საჯარო სკოლის, № 194 საჯარო სკოლის, №84 საჯარო სკოლის და „მომავლის სახლის“, თბილისის № 6 ბაღის აღსაზრდელებისა და ევროპული სკოლის მოსწავლეებისათვის.




ყოველ წელს ბალეტის მოყვარულთა საზოგადოება, სასწავლებლის მოსწავლეებს აჯილდოვებს სიგელებით და სტიპენდიებით. ქალბატონი ნინო ანანიაშვილი და მისი მეგობრები იაპონიიდან, დანიიდან, გერმანიიდან. ამერიკიდან და ბევრი სხვა ქვეყნიდან პატარა ბალერინებს ასაჩუქრებენ პუანტებით, საცეკვაო კოსტუმებით და აქსესუარებით (იხილეთ გრაფიკი №6).





პირველად სასწავლებლის არსებობის ისტორიაში ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით გამოიცა საბალეტო სიტყვათა ლექსიკონი და განმარტებითი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. იგი პრაქტიკული დანიშნულებისაა, რომლის გამოყენება შეუძლებელია შესაბამისი მეცადინეობების გარეშე. ლექსიკონი საუკეთესო დამხმარე საშუალება გახდა საბალეტო ხელოვნებით დაინტერესებული მოსწავლეებისათვის. ლექსიკონში შესულია 370 – მდე სიტყვა, რომელთა უმეტესობა დღეს აქტიურად გამოიყენება სწავლის პროცესში, მას გააჩნია ილუსტრირებული მასალა გარკვეული მოძრაობების უკეთ აღქმისათვის.



ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივითა და მხარდაჭერით სასწავლებლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნის გაცვლით პროგრამებში: ესპანეთი ქ. ბურგოსი, რუმინეთი ქ. ტიმიშუარა, იაპონია ქ. ტოკიო, ქ. საიტამა და ქ. ნაგოია, დიდი ბრიტანეთი ქ. ლონდონი, იტალია ქ. ლეჩე და ქ. კასტელიანეტა - მარინა და სხვა. სასწავლებელს კავშირი აქვს დამყარებული აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის, ბელორუსიის, უკრაინის ამერიკის, იაპონიის, იტალიის, პორტუგალიის გერმანიის და დანიის სამეფო სკოლებთან.

სასწავლებლის კურსადამათავრებულებს, რომლებიც მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში აქვთ მჭიდრო კავშირი სასწავლებელთან. ისინი გვაცნობენ თავიანთ

წარმატებებს და გვაწვდიან ინფორმაციას იმ ინოვაციური მეთოდების შესახებ, რომელიც ინერგება წამყვანი ევროპული თეატრების სცენებზე.

წლების მანძილზე სასწავლებლის კურსდამთავრებულები ირიცხებიან ოპერისა და ბალეტის საბალეტო დასში, ზოგიერთი მოსწავლე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაემგზავრა საზღვარგარეთის სხვადასხვა თეატრებში, ხოლო დანარჩენი მოსწავლეები ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად ჩარიცხულ იქნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ამავედროულად ეწევიან წარმატებულ სასცენო მოღვაწეობას და ღებულობენ მონაწილეობას თეატრალურ, სატელევიზიო და სამოდელო პროექტებში. 2013 წელს ქალაქ რიგაში საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე სასწავლებლის აღზრდილმა ნინო სამადაშივილმა დიდ წარმატებას მიაღწია. საუკეთესოთა შორის მან დაიმსახურა გრანპრი და პირველი ადგილი.



2014 წლის 17 – 23 თებერვალს ბაიმაართა გერმანიის ქალაქ ბერლინის საერთაშორისო ცეკვის ფესტივალი TANZOLYMP 2014. სასწავლებლის მოსწავლემ სალომე ლევერაშვილმა ინდივიდუალურ ცეკვაში დაიმსახურა მე-2 ადგილი, ხოლო ჯგუფურ ცეკვაში სასწავლებლის მოსწავლეებმა: სალომე ლევარაშვილმა, ქეთევან კობახიძემ, ლანა გოგისვანიძემ და ნინო ხახუტაშვილმა დაიმსახურეს მე-4 ადგილი.

რეალური ისტორიები, უცნობი ფაქტები, ლეგენდად ქცეული ადამიანები, რომლებმაც ქართული ბალეტის ისტორია შექმნეს – ამის ნახვა თქვენ შეგიძლიათ ორ ნაწილიან დოკუმენტურ ფილმში „ბალეტი საქართველოში“. ფილმის ავტორები მაცურებელს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ამოგზაურებენ და აჩვენებენ ქართული ბალეტის შექმნის მომაჯადოებელ ფრაგმენტებს. ფილმი მართალია დოკუმენტურია, მაგრამ ბევრია დადგმითი სცენები, რომელიც მარია პერინის, ვახტანგ ჭაბუკიანისა და სხვა მნიშვნელოვანი პიროვნებების დრამატულ ცხოვრებას აცოცხლებს. ფილმი იკვლევს აგრეთვე პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების გავლენას ქართული ბალეტის ისტორიაზე.



2013 წლის 12 ივლისს კინოთეატრ „ რუსთაველი “ - ში ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა წარმოადგინა დოკუმენტური ფილმი „ ბალეტი საქართველოში “. ფილმის ქრონომეტრაჟია 90 წუთი. ეს არის პირველი მცდელობა ქართული ბალეტის ისტორიის მხატვრულ – დოკუმენტური თხრობისა. ფილმზე მუშაობდნენ: პროდიუსერი – პრიმა ბალერინა ქალბატონი ნინო ანანიაშვილი, სცენარის ავტორები – ლელა შენგელი, შალვა შენგელი, რეჟისორი – შალვა შენგელი, იდეის ავტორი – ზვიად ბაქრაძე, კომპოზიტორი – მიშა მდინარაძე, კონსულტანტი – ილია თავბერიძე.

2015 წლის 4 თებერვალს სსიპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ბატონი მიხეილ გიორგაძე ეწვია. ბატონი მიხეილი სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო ანანიაშვილს, დირექტორს ზვიად ბაქრაძეს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს, პედაგოგ-სპეციალისტებსა და სასწავლებლის აღსაზრდელებს შეხვდა. საუბარი ყველა საჭირო საკითხებთან ერთად შეეხო სასწავლებლისთვის ახალი შენობის გამოყოფის საკითხს.



ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით 2015 წლის 25 – დან 31 მარტამდე ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს იტალიაში ქალაქ ბარში „დომენიკო მოდუნის“ საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე. სასწავლებლის მოსწავლემ ნინო ხახუტაშვილმა დაიმსახურა საუკეთესოთაშორის მე-2 ადგილი ნომინაციაში ვარიაცია. სასწავლებლის მოსწავლემ სალომე ლევერაშვილმა დაიმსახურა საუკეთესოთაშორის მე-3 ადგილი ნომინაციაში პა-დე-დე, აგრეთვე მე-3 ადგილი ნომინაციაში ვარიაცია , ხოლო სასწავლებლის მოსწავლეებმა ჯგუფურ ნომინაციაში დაიკავეს მე-2 ადგილი.



2015 წლის 7 აპრილს სასწავლებლის მოსწავლეებმა ნ.ხახუტაშვილმა, ს.ლევერაშვილმა, თ.თალაკვაძემ, ლ.გოგისვანიძემ რუმინეთში ქალაქ ტიმიშუარაში მონაწილეობა მიიღეს ქორეოგრაფ ვალენტინ ბარტესის მიერ დადგმულ სპექტაკლში „ამაო სიფრთხილე“ სადაც დიდი მოწონება და ოვაციები დაიმსახურეს და ასახელეს ქართული ბალეტი.



2015 წლის 3 მაისს თბილისის ა.გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა სოციალურად დაუცველი და უნარ – შეზღუდული ბავშვებისთვის გამართა საქველმოქმედო კონცერტი ორ მოქმედებად: საკონცერტო პროგრამა და ჩიპოლინო.






2015 წლის 26 მაისს ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა რესპუბლიკის მოედანზე გამართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.



2015 წლის 8 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ვ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობის განხრის სპექტაკლი „ანბანთ-ქება“. რეჟისორი - ლელა ჭინჭარაული.



2016 წელს 21 - 24 აპრილს თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა ლატვიაში ქალაქ რიგაში „ვენტუსის“ საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით. სასწავლებლის მოსწავლემ სალომე ლევერაშვილმა დაიმსახურა საუკეთესოთა შორის 1- ადგილი, ოქროს მედალი და გრან-პრი ნომინაციაში კლასიკური ვარიაცია. აგრეთვე თანამედროვე ცეკვაში მე-2 ადგილი და ვერცხლის მედალი. ასევე სასწავლებლის მოსწავლემ თათული თალაკვაძემ დაიმსახურა საუკეთესოთა შორის მე-2 ადგილი და ვერცხლის მედალი ნომინაციაში კლასიკური ვარიაცია




2016 წლის 12, 13 მაისს სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით საქართველოში ჩამოსული იყო იაპონიაში მოღვაწე რუსი ქორეოგრაფი ალექსანდრე მიშუტინი, რომელმაც გამოსაშვები სადამოსათვის

დადგა სპექტაკლი „არლეკინის მილიონები“, რომელიც გაიმართა 2016 წლის 12-13 მაისს ოპერისა და ბალეტის თეატრში.

გამოსაშვებ სადამოზე აგრეთვე მონაწილეობას ღებულობდნენ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იაპონიის ქ. ტოკიოს საერთაშორისო საბალეტო კომპანია საერთაშორისო საბალეტო უმაღლესი სკოლის 11 მოსწავლე და 2 პედაგოგი



2016 წლის 29 ივნისიდან - 27 ივლისამდე ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელსა და იაპონიის ქ. ტოკიოს საერთაშორისო საბალეტო კომპანიასა და იაპონიის ქ. ნაგოიას „იასუკო ნაიტო ბალეტ“- ის სკოლებს შორის ქ. ტოკიოში და ქ. ნაგოიაში განხორციელდა გაცვლითი პროგრამა; ჩატარდა მასტერკლასები, სპექტაკლები და კონცერტები. პროგრამაში მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების - IV, V, VIII წლის მოსწავლეები.



სასწავლებლის პედაგოგი ლარისა ჩხიკვიშვილი და სწავლების მე- V წლის მოსწავლე ლიზი ავსაჯანიშვილი 2016 წლის 1 ნოემბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით იმყოფებოდნენ ქ.უფაში ქორეოგრაფიული სასწავლებლების საეთაშორისო ფესტივალზე ,სადაც ჩვენმა სასწავლებელმა დაიმსახურა დიდი მოწონება. ფესტივალზე მონაწილეობისათვის მათ გადაეცათ დიპლომი, სერთიფიკატი და სამადლობელო სიგელი.





2016 წლის 25, 26 და 27 ნოემბერს ზ.ვალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პრემიერა ბალეტისა "წუნა და წრუწუნა", რაშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლეების - I, II, III, IV, V წლის მოსწავლეებმა.



2016 წლის 25 დეკემბერს თბილისის ზაქარია ვალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წითელი დარბაზი ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ასი წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ეს წიგნი ეძღვნება სასწავლებლის დაარსების 100 წლის თავს, ავტორები შეეცადნენ თარიღების ქრონოლოგიურად

დალაგების ნაცვლად მკითხველისთვის მოეთხროდ ამ სასწავლებლის და იქ მოღვაწე ადამიანების ცხოვრებისეული ეპიზოდები. ავტორებს ამგვარად აქვთ წარმოდგენილი ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის თავგადასავალი პერინიდამ დღემდე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სასწავლებლის პედაგოგები, მოსწავლეები და მოწვეული სტუმრები.




2017 წლის 17 იანვარს მეგაშოუ " შენ შეგიძლია ცეკვა"- ფინალში გამარჯვებული გახდა ვ.ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლე ნიტა ლომიძე (სწავლების მე-IV წელი)



2017 წლის 15-ივლისიდან 7-აგვისტომდე ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მხარდაჭერით იაპონიის ქ. ტოკიოში გაიმართა ერთობლივი სპექტაკლი (ლ. მინკუსის ბალეტი - "დონ კიხოტი") ქ. ტოკიოს საერთაშორისო საბალეტო სკოლას შორის.

სასწავლებლის მოსწავლეებმა აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ტოკიოში გამართულ საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე. სასწავლებლის მოსწავლემ ლიზი ავსაჯანიშვილმა დაიმსახურა საუკეთესოთაშორის 1- ადგილი ნომინაციაში ვარიაცია. აგრეთვე სასწავლებლის ოთხი მოსწავლე საუკეთესოთა ათეულში შევიდა.

ტოკიოში აგრეთვე სასწავლებლის მოსწავლეებმა გაიარეს მასტერ- კლასი მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავთან Dominique Khalfoun-სთან.



2017 წლის 24 ივლისიდან - 5 აგვისტომდე ვ.ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეები მელორ ჟორჟოლიანი და გიორგი ფოცხიშვილი ქალბატონ ელენე გლურჯიძის და ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით იმყოფებოდნენ ინგლისში ქალაქ ლონდონში ორკვირიან საზაფხულო კურსებზე. მოსწავლეების სრული დაფინანსება უზრუნველყო ქალბატონმა ელენე გლურჯიძემ - (ინგლისის ნაციონალური ბალეტის სოლისტი).





2017 წლის 28 ოქტომბერს ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელს ესტუმრა რუსეთის სახალხო არტისტი, ბალერინა ილიზი ლიევა თავის მოსწავლეებთან ერთად, რომლებიც პედაგოგ-სპეციალისტებსა და სასწავლებლის აღსაზრდელებს შეხვდნენ. ჩატარდა ერთობლივი კლასიკის გაკვეთილი.



2017 წლის 28, 29 ოქტომბერს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრში გაიმართა კრეინის ბალეტი "ლაურენსია", სადაც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების I, II, VI, VII, VIII წლის მოსწავლეებმა.




2017 წლის 26 დეკემბერს ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის საახალწლო კონცერტი ორ მოქმედებად საკონცერტო პროგრამა და ი.ბაიერის ბალეტი "თოჯინების ფერია", სადაც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, მე- II, III და IV კლასის და სწავლების -I, მე-II, III , IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეებმა



2018 წლის 16 - 19 მარტი თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა, ე-ბ ნინო ანანიაშვილის მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღეს იტალიაში ქალაქ ლეჩეში "დომენიკო მოდუნის" საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე. საუკეთესოთა შორის პირველი ადგილი კლასიკურ ვარიაციაში მიიღო სასწავლებლის მოსწავლემ მარი ლომჯარიამ (სწავ მე-7 წ/მ), თინათინ ხაინდრავამ (სწავ მე-7 წ/მ) საუკეთესოთა შორის მეოთხე ადგილი, სოფო ნაჭყებია (სწავ მე-7 წ/მ) საუკეთესოთა შორის მეექვსე ადგილი დაიმსახურა, ასევე სასწავლებლის მოსწავლეებმა: ხაინდრავა თინათინ, ხალვაში მარიამი, ლომჯარია მარი, ნაჭყებია სოფიო, ალაფიშვილი ელენე, ჭაბუკიანი ელისაბედი, ვოტკინსონი პატრიცია-ანასტასია, მამადაშვილი ანნა, ცინცაძე სოფიკო, ვიქტორია ჩხენკელი (სწავ მე-6,7 წ/მ) ჯგუფურ ცეკვაში დაიმსახურეს საუკეთესოთა შორის მესამე ადგილი. ასევე მოსწავლეებმა მარი ლომჯარიამ და სოფიკო ცინცაძემ საჩუქრად მიიღეს მიწვევა ბარსელონაში საზაფხულო სკოლაში ასს პროცენტანი დაფინანსებით.



2018 წლის 19-20 აპრილს ქალაქ რიგაში "Eventus" -ის საერთაშორისო კონკურსზე, ვ.ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა: ლომჯარია მარიმ, ნაჭყებია სოფომ და ვოტკინსონ პატრიციამ დაიკავეს პირველი ადგილი კლასიკურ ვარიაციებში. აგრეთვე დიდად აღსანიშნავია ის რომ, გრან-პრი და დოპლომი დაიმსახურა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებელმა, საუკეთესო საბალეტო სკოლის ნომინაციაში.



2018 წლის 15 მაისს მოძრაობის თეატრის სცენაზე გაიმართა, თეატრალური სპექტაკლი ორ მოქმედებად ლაშა თაბუკაშვილის პიესის "მაგრამ უფლება არ მოუცია"-ს მიხედვით. მონაწილეობდნენ სასწავლებლის თეატრალური განხრის, სწავლების - მე- VII, VI წლის მოსწავლეები



2018 წლის 1 - 10 ივლისს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ იტალიაში ქალაქ კასტელიანეტა მარინაში, სადაც გაიარეს

საზაფხულო სემინარის კურსები ბალეტის ხელოვნებაში.  
მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების - მე- III წლის მოსწავლეები



2018 წელის 6 ივლისს "ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი" - პირველი არხის პროექტი. ქალბატონმა ნინო ანანიაშვილმა, გადაცემაში მოგებული თანხით ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებს საჩუქრები გადასცა. მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების - მე- II, III, IV, V, VI, VII წლის მოსწავლეები



2018 წელის 30-ივლისიდან 16-აგვისტომდე იაპონიაში ქ. ტოკიო -საიტამაში ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მხარდაჭერით ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა და იაპონიის ქ. საიტამას საბალეტო სკოლა "Sato ballet"-მა წარმოადგინეს ერთობლივი პროექტი /ხაჩატურიანის ბალეტი - "ჩიპოლინო" და საკონცერტო პროგრამა/. იაპონიაში სასწავლებლის მოსწავლეებმა ასევე გაიარეს მასტერ - კლასი. მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების - მე- IV, V, VII წლის მოსწავლეები



2018 წლის 4-8 ოქტომბერს რუმინეთის ქალაქ სიბიუში გაიმართა საერთაშორისო საბალეტო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის ვახტან ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებმა.

საუკეთესოთა შორის პირველი ადგილი დაიმსახურა ნიტა ლომიძემ (კონტენ -პორარი), ხოლო სასწავლებლის მოსწავლეებმა: სესილი გუგუჩიამ, მარიამ ლეკიშვილმა, ნინო ქართველიშვილმა, სოფიო კანდელაკმა, ანასტასია წოწონავამ ჯგუფურ ცეკვაში დაიმსახურეს საუკეთესოთ შორის პირველი ადგილი.


საუკეთესოთა შორის მეორე ადგილი კლასიკურ ვარიაციაში მიიღო სასწავლებლის მოსწავლემ მარი ლომჯარიამ, ხოლო საუკეთესოთა შორის მეოთხე ადგილი - სოფო ნაჭყებიამ. მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის სწავლების - მე- VI, VIII წლის მოსწავლეები





2018 წელის 16-18 ნოემბერს ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ბალეტი "დონ-კიხოტი", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების - მე- III, IV წლის მოსწავლეებმა



2019 წელის 22-25 მარტს თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა, კ-ბ ნინო ანანიაშვილის მხარდაჭერით, მონაწილეობა მიიღეს იტალიაში ქალაქ ლეჩეში "დომენიკო მოდუნის" საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე.

საუკეთესოთა შორის პირველი ადგილი კლასიკურ ვარიაციაში მიიღო სასწავლებლის მოსწავლემ მარი ლომჯარიამ (სწავ მე-8 წლ), საუკეთესოთა შორის მესამე ადგილი - სოფო ნაჭყებია (სწავ მე-8 წლ), საუკეთესოთა შორის მეექვსე ადგილი დაიმსახურა სოფიკო ცინცაძემ და ბუჯიაშვილი ელენემ (სწავ მე-7 წლ), აგრეთვე სასწავლებლის მოსწავლეებმა: სესილი გუგუჩიამ, მარიამ ლეკიშვილმა, ლიკა გუგუშაშვილმა, ნინო ისიპაშვილმა და ანასტასია წოწონავამ ჯგუფურ ცეკვაში დაიმსახურეს საუკეთესოთა შორის მესამე ადგილი. საუკეთესოთა შორის მეორე ადგილი დაიმსახურა ნიტა ლომიძემ (კონტენ-პორარი). კონკურსში მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.





2019 წელს 27 ივლისიდან - 16 აგვისტომდე იაპონიაში . ქ. ტოკიოში ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მხარდაჭერით გაიმართა ერთობლივი პროექტი (ლ. მინკუსის ბალეტი - "ზაიადერა" და საკონცერტო პროგრამა) - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელსა და იაპონიის ქ. ტოკიოს საერთაშორისო საბალეტო სკოლას შორის.

სასწავლებლის მოსწავლეებმა აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ტოკიოში გამართულ საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე. სასწავლებლის მოსწავლემ ანა დათუნაშვილმა დაიმსახურა საუკეთესოთაშორ მე - 2 ადგილი ნომინაციაში ვარიაცია. აგრეთვე სასწავლებლის ოთხი მოსწავლე საუკეთესოთა ათეულში შევიდა: სალომე იარაჯული მე-4 ადგილი, ფოცხიშვილი მარი მე-4 ადგილი, მირიანაშვილი მარი მე-8 ადგილი, საგინაძე ნინო მე-10 ადგილი.



2019 წლის 5 ოქტომბერს ორბელიანის მოედანზე გაიმართა თბილისობა - 2019. მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.




2019 წლის 5 - 6 ოქტომბერს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტი "ლაურენსია", რომელშიც მონაწილეობდნენ სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - IV კლასის მოსწავლეები და სწავლების IV, V წლის მოსწავლეები



2019 წლის 24-28 ოქტომბერს რუმინეთის ქალაქ სიბიუში გაიმართა საერთაშორისო საბალეტო კონკურსი "SIBIU DANCE COMPETITION." რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებმა. საუკეთესოთა შორის მესამე ადგილი დაიმსახურა ელენე ბუჯიაშვილმა(კლასიკური ვარიაცია), ხოლო სასწავლებლის მოსწავლეები: ანასტასია წოწონავა, ანა დათუნაშვილი, მარი მირიანაშვილი მოხვდნენ საუკეთესოთა ათეულში.




2020 წლის 2 აპრილიდან, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო პროცესის გადავადებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დისტანციური სწავლების მეთოდებს აძლიერებს, შესაბამისად მიმდინარე წლის 2 აპრილიდან სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე.




2020 წლის 27 ივნისიდან სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო ანანიაშვილი ახორციელებს საინტერესო ინტერვიებს მსოფლიო ბალეტის ცნობილ წარმომადგენლებთან. [http://stateballetschool.ge/ananiashvili\\_2020.php](http://stateballetschool.ge/ananiashvili_2020.php)




სამწუხაროდ 2020 - 2021 სასწავლო წელიც არ აღმოჩნდა გამონაკლისი და ახალი covid -19 ვირუსიდან გამომდინარე სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი დისტანციურ რეჟიმში აგრძელებს სასწავლო პროცესს ყოველდღიური დატვირთვით.



2021 წელი 27 თებერვალს სასწავლებლის სწავლების I წლის მოსწავლეებმა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში პატივი მიაგეს ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 111 წლის იუბილეს.



2021 წელის 25 მარტს სასწავლებლის სწავლების მე-7 და მე-8 წლის ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობის განხრის მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა ნახატების გამოფენა. თემა „სამი ფერის ტონალობა“.



მიმდინარე წლის 3 აპრილს ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მოწვევით სასწავლებელს ეწვია ვაგანოვის სახელობის რუსული საბალეტო აკადემიის რექტორი, მოსკოვის დიდი თეატრის ექს-პრემიერი ნიკოლოზ ცისკარიძე, რომელმაც მასტერკლასი ჩაატარა სასწავლებლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის. მასტერკლასის მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 წლის მოსწავლეები.





2021 წლის 19-20 ივნისს „სილქ ფაქტორი სტუდია“-ში გაიმართა სპექტაკლი ლაშა ბულაძის პიესის "თეატრი"-ს მიხედვით. მასში მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობის განხრის სწავლების მეშვეილე წლის მოსწავლეებმა.



2021 წლის 7 ოქტომბერს გაიმართა დამსახურებული არტისტისა და ღირსების ორდენის კავალერის ნანულის სარაჯიშვილის ვარსკვლავის გახსნა და შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების II, III, IV, V, VI წლის მოსწავლეებმა.



2021 წლის 15, 16 და 17 ოქტომბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პრემიერა საბალეტო სპექტაკლი "პინოკიო", მასში სასწავლებლის სწავლების II, III, IV, V და VI წლის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა.



19 ნოემბერი 2021 წელი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯორჯ ბალანჩინის აღდგენილი პროგრამის წარმოდგენის წინ, გაიმართა შეხვედრა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის უფროსკურსელებთან /სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები/ და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებთან. ჯორჯ ბალანჩინის შემოქმედების შესახებ მათ ესაუბრნენ ნინო ანანიაშვილი, საბალეტო დასის წამყვანი სოლისტები ნინო სამადაშვილი და ეკატერინე სურმავა. ბალანჩინის ფონდის ბალეტმაისტერმა ბენ ჰაისმა შეკითხვებზე პასუხები ვიდეო მიმართვის ფორმით გამოგზავნა, რომელიც შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს.



2022 წელის 9 – 23 იანვარს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდა პ. ჩაიკოვსკის ბალეტი "მაკნატუნა" სადაც მონაწილეობდნენ სწავლების VIII წლის მოსწავლეები.



2022 წელის 8 – 10 აპრილს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პ.ჩაიკოვსკის ბალეტი "გედების ტბა" სადაც მონაწილეობდნენ მონაწილეობდნენ სწავლების I, II, III, IV, V წლის მოსწავლეები.



2022 წელის 13, 14, 15 და 18, 19, 20, 21, 22 მაისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ალექსი მაჭავარიანის ბალეტი "ოტელო" - ს პრემიერა.

მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.






2022 წელის 1 ივლისს ოპერისა და ბალეტის თეატრში სახელმწიფო თეატრში, ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით, გაიმართა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეთა კონცერტი. საკონცერტო პროგრამას ესწრებოდა ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების უცხოელი და ქართველი წარმომადგენლები.




2022 წლის 11 ოქტომბერს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით და დაფინანსებით სასწავლებელში მიმდინარეობდა ქართული ლიტერატურის ბუმბერაზი კლასიკოსის, პოეტის და მწერლის ვაჟა - ფშაველას ნაწარმოების - "ჩხიკვათა ქორწილის" მიხედვით საბალეტო სპექტაკლის დადგმითი რეპეტიციები. რეპეტიციების დადგმა ხორციელდება ცნობილი ბალეტის მოცეკვავის და ქორეოგრაფის ალექსეი ფადეევიჩის ხელმძღვანელობით. სასწავლებლის ისტორიაში ეს იქნება ქართული ნაწარმოების მიხედვით საბალეტო სპექტაკლის დადგმის პირველი მცდელობა და კიდევ ერთი წარმატებული პროექტი, რომლის საშუალებითაც მოხდება ქართული საბალეტო სკოლის წარმოჩენა და პოპულარიზაცია. მონაწილეობდნენ სწავლების III, IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.



2022 წლის 1-14 დეკემბერს და 17 დეკემბერს სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ანანიაშვილის მოწვევით პორტუგალიელმა ბალეტის მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა პედრო კარნეირომ, ჩაატარა მასტერკლასები კლასიკურ და წყვილთა ცეკვებში. მასტერკლასს ესწრებოდნენ ბალეტის მოყვარულთა საზოგადოების წევრები, საელჩოების და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მასტერკლასებში მონაწილეობდნენ სასწავლებლის პედაგოგები, კონცერტმასიტერები და სწავლების VI, VII, VIII წლის მოსწავლეები.





2023 წელის 14 იანვარს ტელე - იმედის ეთერში "ცეკვავენ ვარსკვლავები" ფინალში! ოთო და ვანესა! აგრეთვე ვ.ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეები! საუკეთესო ნომერი და საუკეთესო შესრულება!  
 მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე-12 კლასის მოსწავლეები.



2023 წლის 16-22 მარტს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა, იტალიის ქალაქ ლეჩეში DOMENICO MODUGNO სახელობის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე ( საერთო მონაწილეთა რაოდენობა 250 ადამიანს აჭარბებდა) დიდი წარმატებით იასპარეზეს! კლასიკურ ვარიაციებში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა- ნიკოლოზ ფოცხიშვილმა, მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი -მარი ყულიჯანიშვილმა, გრან-პრი - საუკეთესო მოცეკვავე გოგო - მარი ყულიჯანიშვილმა, თანამედროვე ცეკვაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა მარი ყულიჯანიშვილმა და მამო ჯოჯუამ! ასევე ჯგუფურ ცეკვაში განდაგანა: ა.დათუნაშვილი, ს.იარაჯული,მ.გულიტაშვილი, თ.გრიგოლაშვილი - პირველი ადგილი და ოქროს მედალი, ლეზინკა - ნ. ფოცხიშვილი, მ.მირიანაშვილი პირველი ადგილი და ოქროს მედალი, ორეულები კლასიკურ ვარიაციებში პირველი ადგილი და ოქროს მედალი - ა.გორგიშელი, ს.იზორია, მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი - თ.კაკაშვილი, ნ.სირბილაძე, მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი -ნ.თაბაგარი, ნ.თავდგირიძე. კლასიკურ

ვარიაციებში საუკეთესო ათეულში შევიდნენ: ს.იარაჯული, ა.დათუნაშვილი, მ. გულიტაშვილი, ნ.თაბაგარი, თ.გრიგოლაშვილი, მ.მირიანაშვილი, ნ.თავდგირიძე, ა.გორგიშელი.

განსაკუთრებით გვინდა ავლიშნოთ, რომ კონკურსში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნების ( იტალია, ტაივანი, პერუ, ავსტრალია, სლოვენია, საბერძნეთი, პორტუგალია, უნგრეთი, მექსიკა, სამხრეთ კორეა, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ესპანეთი, ჰონდურასი, რუმინეთი, მალაიზია, იაპონია, ლიტვა, საქართველო, აშშ, პოლონეთი, ტაილანდი, ეგვიპტე, კვიპროსი, ჩეხეთი და სხვა) საბალეტო სასწავლებლებს შორის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა მოიპოვა საუკეთესო საბალეტო სკოლის ტიტული და გადაეცა ჯილდო „საუკეთესო საბალეტო სკოლა.“



2023 წლის 20, 21 მაისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის გამოსაშვები სადამო ორ მოქმედებად საკონცერტო პროგრამა და სპექტაკლ "ჩხიკვთა ქორწილი" - ს პრემიერა:

მუსიკა: ზურაბ ნადარეიშვილი

დამდგმელი ქორეოგრაფი: ალექსეი ფადეიჩევი

დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები: ქეთი მოწონელიძე, ტატიანა როსტარგუევა

მხატვარი: ანა მგალობლიშვილი

სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი

სპექტაკლი გაიმართა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და დაფინანსებით

მონაწილეობდნენ:

სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, II, III და IV კლასის მოსწავლეები

და სწავლების -I, II, III, IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები





2023 წლის 14 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში საქართველოს სინოლოგთა ასოციაციის წიგნის - "ჩინეთის ისტორია" პრეზენტაცია გაიმართა, სადაც სასწავლებლის სწავლების VI, VII წლის მოსწავლეები ღებულობდნენ მონაწილეობას.



2023 წლის 17 ივნისს ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის შენობის საცეკვაო დარბაზში ბალეტის მოყვარულთა საზოგადოებამ სასწავლებლის მოსწავლეები დააჯილდოვა სიგელებით და სტიპენდიებით.




2023 წლის 30 ივნისი ცეკვის დღესასწაული, დიდი ზეიმი - თბილისის ბალეტის ფესტივალის მეორე დღე!

"დონ კიხოტში" მთავარი პარტიები იცეკვებს წამყვანმა სოლისტმა ნინო სამადაშვილმა და ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის სოლისტმა გიორგი ფოცხიშვილმა, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი სასწავლებლის მოსწავლეებმაც!



2023 წლის 3 - 9 ივლისის იტალიის ქალაქი მესაგნეში გაიმართა საერთაშორისო საბალეტო კონკურსი "იტალიის ტალანტები," სადაც წარმატებით იასპარეხეს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა:

1. კლასიკურ ვარიაციაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი, აგრეთვე თანამედროვე ცეკვაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა - მარი ყულიჯანიშვილმა.
2. თანამედროვე ცეკვაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა - მეგი გელაშვილმა
3. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი ჯგუფურ ცეკვაში "რლევინადა" დაიმსახურეს - ვიქტორია ჯიქიამ, ელენე მჭედლიძემ და მარიამ თოდუამ.
4. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი ჯგუფურ ცეკვაში "ლაზური" დაიმსახურეს - თამარ უსუფაშვილმა, თეკლარუსიშვილმა, თეა გადაბაძემ.



## WORLD BALLET GRAND PRIX NORWAY 2023

2023 წლის 15, 16 ივლისს ნორვეგიაში გაიმართ ასაერთაშორისო საბალეტო კონკურსი და ონლაინ დაჯილდოვება. ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა, მსოფლიო ბალეტის გრანპრი WBGPNორვეგია 2023 - ის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე დიდი წარმატებით იასპარეხეს!

1. კლასიკურ ვარიაციაში და თანამედროვე ცეკვაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა - მარი ყულიჯანიშვილმა.
2. კლასიკურ ვარიაციაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა - ნანა თაბაგარმა
3. კლასიკურ ვარიაციაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა - ნინო თავდგირიძემ
4. კლასიკურ ვარიაციაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა - ანა დათუნაშვილმა
5. კლასიკურ ვარიაციაში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა - სალომე იარაჯულმა
6. კლასიკურ ვარიაციაში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა - ნინო საგინაძემ
7. კლასიკურ ვარიაციაში მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი დაიმსახურა - დავით ნაკაშიძემ
8. კლასიკურ ვარიაციაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა - აკაკი ჯავახიშვილმა
9. პირველი ადგილი და ოქროს მედალი ჯგუფურ ცეკვაში „ განდაგანა“ დაიმსახურეს: ა.დათუნაშვილმა, ს.იარაჯულმა, მ.გულიტაშვილმა, თ.გრიგოლაშვილმა.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს სამხატვრო ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო ანანიშვილს გაწეული შრომისთვის და მხარდაჭერისთვის



2023 წლის 27, 28, 29, 30 სექტემბერიდან - 2 ოქტომბერამდე თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა სპექტაკლი - ბალეტი "გედების ტბა", რომელშიც მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე- 7, 8 წლის მოსწავლეები.



2023 წლის 28, 29, 31 ოქტომბერი თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა საბალეტო სპექტაკლი "დონ კიხოტი", რომელშიც მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე- 3, 4, 7, 8 წლის მოსწავლეები.



2023 წლის 14, 15, 17, 18, 19 ნოემბერი თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პრემიერა ბალეტი „ზაიადერა“, მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების მე - 7, 8 წლის მოსწავლეები.



2024 წლის 18 - 28 მარტს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეებმა, იტალიის ქალაქ ლეჩეში DOMENICO MODUGNO სახელობის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე დიდი წარმატებით იასპარეზეს.

- პირველი ადგილი და ოქროს მედალი კლასიკურ ვარიაციებში : თათა გრიგოლაშვილი, მარი ყულიჯანიშვილი;
- პირველი ადგილი და ოქროს მედალი კლასიკურ ცეკვაში, ორეული: ელენე შველიძე, ემმა ჩერნიშოვა;
- პირველი ადგილი და ოქროს მედალი ჯგუფურ ცეკვაში: თეა გადაბაძე, ნატალია კანდელაკი, კატო თანიაშვილი;
- ვერცხლის მედალი და მეორე ადგილი კლასიკურ ვარიაციაში: ემმა ჩერნიშოვა;
- მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი თანამედროვე ცეკვაში : მარი ყულიჯანიშვილი;
- ბრინჯაოს მედალი და მესამე ადგილი კლასიკურ ვარიაციაში : ნუცა ბურჭულაძე ;
- ბრინჯაოს მედალი და მესამე ადგილი კლასიკურ ცეკვაში, ორეული: მარიამ ჩიტალაძე, თამარ კაკაშვილი;

აღსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნების ( იტალია, ტაივანი, პერუ, , სომხეთი, მექსიკა, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, კვიპროსი, იაპონია, ლატვია, საქართველო, აშშ, რუმინეთი, ტაილანდი და სხვა) საბალეტო სასწავლებლებს შორის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა მესამეჯერ მოიპოვა საუკეთესო საბალეტო სკოლის ტიტული (პირველად 2018 წელს ლატვიის ქალაქ რიგაში “ EVENTUS” საერთაშორისო ფესტივალზე, ხოლო მეორედ 2023 წელს-იტალიის ქალაქ ლეჩეში „DOMENICO MODUGNO“ სახელობის საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე).



2024 წლის 29 მარტს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მცირე სცენაზე გაიმართა შეხვედრა ქ-ნ ნინო ანანიაშვილთან. საუბრის თემა გახლდათ - „ბალეტი და ეროვნება“. საუბარი მიჰყავდა ბალეტის კრიტიკოს პატივცემულ ისმენე ბრაუნს.

შეხვედრას ესწრებოდნენ სასწავლებლის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე სწავლების წლის მოსწავლეები.



2024 წლის 5 აპრილს გაიმართა შეხვედრა მწერალ ნოდარ დუმბაძის ქალიშვილთან. შეხვედრის თემა გახლდათ - ნ. დუმბაძის შემოქმედება და პირადი ცხოვრება.

მონაწილეობდნენ : სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე წლის მოსწავლეები



2024 წლის 11-19 მაისს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება სამმოქმედებიანი სპექტაკლი "მძინარე მზეთუნახავი", სადაც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების მეორე, მესამე და მეოთხე წლის მოსწავლეებმა



2024 წლის 21 მაისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის გამოსაშვები სადამო გაიმართა. წარმოდგენილი იქნა - პირველი მოქმედება „საკონცერტო პროგრამა“, ხოლო მეორე მოქმედება - სასწავლებელმა გამოსაშვები სადამოსთვის მოამზადა ქართულ მოტივებზე შექმნილი ბალეტი „ ჩხიკვათა ქორწილი “ /ვაჟა ფშაველას ნაწარმოების „ ჩხიკვათა ქორწილი “ - ის მიხედვით/. სადამო გაიმართა 21 მაისს შვიდ საათზე სრული ანშლავით. გამოსაშვებ სადამოში მონაწილეობა მიიღო სასწავლებლის მოსწავლეების თითქმის 100 - სმა პროცენტმა. მოსწავლეებმა წარმოაჩინეს მაღალი პროფესიონალიზმი და უბადლო საშემსრულებლო ხელოვნება, რამაც მაყურებელთა მხრიდან დაიმსახურა დიდი მოწონება და ოვეციები.

მუსიკა: ზურაბ ნადარეიშვილი

დამდგმელი ქორეოგრაფი: ალექსეი ფადეეჩევი

დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები: ქეთი მოწონელიძე, ტატიანა როსტარგუევა

მხატვარი: ანა მაგლობლიშვილი

სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი



2024 წლის 26 ივნისს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მცირე სცენაზე ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ინიციატივით ბალეტის მოყვარულთა საზოგადოებამ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეები დააჯილდოვა სიგელებით და სტიპენდიებით.



2024 წლის 1-9 ივლისს იტალიის ქალაქ მესაგნეში, მიმდინარე საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე "იტალიის ტალანტები" წარმატებით იასპარეზეს:

1. კლასიკურ ვარიაციაში „პიციკატო“ ორეული- პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურეს - თამარ გოგოლაშვილმა და ეკატერინე ქიზიყურაშვილმა.
2. პირველი ადგილი და ოქროს მედალი ჯგუფურ ცეკვაში „საბავშვო ცეკვა“ დაიმსახურეს- ელიზაბედ კეჟერაშვილმა, ანასტასია ტოკლიკიშვილმა, ბარბარე გუგუჩიამ.
3. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი ჯგუფურ ცეკვაში "არლეკინადა" დაიმსახურეს - ანანო თვარაძემ, ელენე აბულაძემ, ნუცა ასლამაზაშვილმა.
4. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი ჯგუფურ ცეკვაში "ტარანტელა" დაიმსახურეს - ნელი შუკაკიძემ, ნინო სიღამონიძემ, ბარბარე ნიკოლაძემ, მარიამ ჩიგოვიძემ.



2024 წლის 26-29 სექტემბერი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის 173-ე სეზონის გახსნა, სპექტაკლი " დონ კიხოტი", მონაწილეობდნენ მონაწილეობენ სწავლების მე-3 და მე-4 წლის მოსწავლეები



2024 წლის 9, 10, 28 ოქტომბერი - 1 ნოემბერი სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი - მასტერ - კლასები და საჩვენებელი გაკვეთილი ქართულ და კლასიკურ ცეკვაში. მონაწილეობდნენ სასწავლებლის სწავლების პირველი - მეექვსე წლის მოსწავლეები და მოსამზადებელი ჯგუფების მე - 2, 3, 4 კლასის მოსწავლეები.



2024 წლის 16 დეკემბერს სასწავლებელში ჩატარდა ლექცია - სემინარი მსახიობის ოსტატობაში, სასწავლებლის პროექტის - "გაიცანი წინაპარი" -ს ფარგლებში განხილული იქნა სოხუმის თეატრის რეპერტუარიდან ოთხი სპექტაკლი: "ვაჟიშვილი", "მარტორქები", "სტუმარი" და "იქ, ჩვენთან" აღნიშნულ სპექტაკლებზე თეატრის მოწვევით იმყოფებოდნენ სასწავლებლის მოსწავლეები. მაღლობას ვუხდით სოხუმის თეატრის ადმინისტრაციასა და მსახიობებს გაწეული ქველმოქმედებისათვის.




2024 წლის 20,23,24 და 25 დეკემბერი სსიპ ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში ჩატარდა ღია გაკვეთილები კლასიკურ, ისტორიულ - ყოფით და ქართულ ცეკვებში. მონაწილეობდნენ სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფების 1, 2, 3, 4 კლასის მოსწავლეები.

2025 წლის 1, 2, 8, 9 მარტს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ბალეტი "ოტელო", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების მე-7, 8 წლის მოსწავლეებმა.



2025 წლის 14, 15, 16 მარტს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ბალეტი "ლაურენსია", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების 1, 6, 7, 8 წლის მოსწავლეებმა.



2025 წლი 21,22,23 მარტს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ბალეტი "ჭიზელი", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების 4 და 7 წლის მოსწავლეებმა.



2025 წლუს 3 აპრილს იაპონიის საელჩომ საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო ბალეტის თანაორგანიზებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართა მასტერკლასი კიოგენის დემონსტრაცია, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ საბალეტო დასი და თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის მოსწავლეები. ღონისძიება ტარდებოდა „იაპონიის კვირეული საქართველოში 2025-ის“ ფარგლებში. ამჟამად სტოკჰოლმში მოღვაწე მსახიობმა, ქალბატონმა კომაკი იუმ, ბალეტის მოცეკვავეებს და სასწავლებლის მოსწავლეებს ერთ-ერთი იაპონური ტრადიციული ხელოვნება, კიოგენი წარუდგინა. ღონისძიებას ესწრებოდა იაპონიის ელჩი საქართველოში და ქალბატონი ნინო ანანიაშვილი.





2025 წლის 25,26,27 აპრილს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ჯორჯ ბალანჩინის სპექტაკლები - "მოცარტიანა", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე წლის მოსწავლეებმა.



2025 წელი 30 აპრილს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა სპექტაკლი ჟიზელი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე წლის მოსწავლეებმა.



2025 წლის 2, 3, 4 მაისს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა სპექტაკლი დონ-კიხოტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეშვიდე და მერვე წლის მოსწავლეებმა



2025 წლის 19-20 მაისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა სსიპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის გამოსაშვები საღამო, სამ მოქმედებად:

- ) პირველი მოქმედება წარმოდგენილი იყო საკონცერტო პროგრამის სახით;
- ) მეორე მოქმედებაზე შესრულდა - ნაწყვეტი ი. ბაიერის ბალეტიდან „თოჯინების ფერია“ სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ქორეოგრაფიული რედაქციით;
- ) მესამე მოქმედებაზე შესრულდა - ლ. მინკუსის „პახიტა“ სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის ქალბატონ ნინო ანანიაშვილის ქორეოგრაფიული რედაქციით. გამოსაშვებ საღამოს ესწრებოდა საქართველოს კულტურის მინისტრი ქალბატონი თინათინ რუხაძე მონაწილეობდნენ: სასწავლებლის მოსამზადებელი ჯგუფის - I, II, III და IV კლასის მოსწავლეები და სწავლების -I, II, III , IV, V, VI, VII, VIII წლის მოსწავლეები



2025 წლის 23-27 ივნისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, მიუნხენის ბალეტის აკადემიის პროფესორმა კლასიკური ბალეტის მიმართულებით, ვაგანოვას მეთოდის სპეციალისტმა ქალბატონმა კაროლინა ლორკამ ჩაატარა მასტერკლასი კლასიკურ და თანამედროვე ცეკვებში სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახ. თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის.





2025 წლის 20-21 სექტემბერი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის 174-ე სეზონის გახსნა, სპექტაკლი " დონ კიხოტი", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მერვე წლის მოსწავლეებმა.



2025 წლის 30 ოქტომბერიდან - 2 ნოემბერის განმავლობაში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პეტრე ჩაიკოვსკის სპექტაკლი - "მძინარე მზეთუნახავი", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების მეოთხე და მეხუთე წლის მოსწავლეებმა.



2025 წლის 6-7 დეკემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ჯუზეპე ვერდის ოპერა "ტრავიატა", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების მერვე წლის მოსწავლეებმა.



2025 წლის 13 დეკემბერს საქართველოში 2025 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გახსნაში მონაწილეობა მიიღო ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის სწავლების მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე წლის მოსწავლეებმა / სულ ოცდაათმა მოსწავლემ /.



2025 წლის 19, 20, 21, 26, 27 და 28 დეკემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში გაიმართა კამილ სენ-სანსის ოპერა - „სამსონი და დალილა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლის სწავლების მეხუთე და მერვე წლის მოსწავლეებმა.



დეტალური ინფორმაცია და ყველა განხორციელებული ღონისძიება შეგიძლიათ ნახოთ სასწავლებლის საიტზე, ფეისბუქ გვერდზე,


[www.stateballetschool.ge](http://www.stateballetschool.ge)

<https://www.facebook.com/StateBalletSchool>


ინსტაგრამი : Chabukianiballetschool

ტიკტოკი: @Chabukianiballet


მოსწავლეთა რაოდენობა წლების მიხედვით




სასწავლებელში განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა წლების მიხედვით




## სასწავლო სტრუქტურა



## სასწავლების სტრუქტურა



სასწავლებელში შექმნილი საცეკვაო ტანსაცმელის,  
ტექნიკის და სხვა ქონების რაოდენობა  
წლების მიხედვით



გრაფიკი № 6

ბალეტის მოყვარულთა საზოგადოების და ქალბატონ ნინო ანანიაშვილის  
მიერ დაფინანსებული მოსწავლეები წლების მიხედვით

